

სვამი ვივეკანადა

## შთაგონებული საუბრები

თარგმანი რუსული ენიდან ეკუთვნის ვაჟა ნარიმანიძეს

გამომცემლობა „აქტი“  
თბილისი – 2021

მთარგმნელი: ვაჟა ნარიმანიძე  
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი  
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2804-1

## სარჩევი

წიგნისა და ავტორის შესახებ ..... 5

### მთაგონებული საუბრები

საუბარი ქრისტიანულ სალვოო წერილზე .....	9
საუბარი ღმერთის სიყვარულზე .....	17
საუბარი იოანეს სახარებაზე .....	30
საუბარი გიტაზე .....	33
საუბარი შრი რამაკრიშნა დევაზე .....	40
ლვთაებრივი დედა .....	44
შანკარაჩარიას კომენტარები	
ვიასას ვედანტების სუტრებისა .....	53
საუბარი ვედებზე .....	61
საუბარი ფილოსოფიაზე .....	75
საუბარი უხილავ მიზეზზე .....	81
სანქციას ფილოსოფიის დასკვნების	
მიმართ შანკარას არგუმენტაციები .....	87
პატანჯალის იოგას აფორიზმები .....	95
საუბარი „ბჟაგავადგიტა, კარმა იოგა“-ზე .....	99
ბრიპადარანიაკა უპანिशადა .....	109
კათპა უპანिशადა .....	110
ყოფიერება-ცოდნა-ნეტარება .....	117
უმაღლესის მიღწევა .....	153
შენიშვნები და განმარტებები .....	166
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები .....	169

---

წიგნი „შთაგონებული საუბრები“ წარმოადგენს იმ ლექციების და საუბრების გაშიფრულ და დამუშავებულ ჩანაწერს, რომლებსაც სვამი ვიკეპანანდა 1895 წლის ზაფხულში ამერიკელ მოსწავლეთა ჯგუფთან ატარებდა.

მთავრდებოდა დასავლეთში მისი ყოფნის მეორე წელი, სადაც ახალგაზრდა ინდოელი მოღვაწე ინტენსიურად მუშაობდა და სწავლობდა, როდესაც ითვისებდა ამერიკული კულტურის მიღწევებს, კულტურისა, რომლის შესახებ მანამდე მისთვის მხოლოდ წიგნებიდან იყო ცნობილი. ახლახან დასრულდა მოღვაწეობის სერიოზული ეტაპი ბალტიმორში, სადაც ხანგრძლივი, სუფთა პოპულარიზაციული გამოსვლებით დალლილმა ვიკეპანანდამ აღფრთოვანებით წაიკითხა ლექციების სერიოზული ციკლი, რასაც თან ახლდა მედიტაციის პრაქტიკული საფუძვლების სწავლება, რამაც ბოლოს და ბოლოს „რაჯა-ინგას“ კურსის დაწერის სახე მიიღო. დაძაბულმა შრომამ გადალლილობამდე და ენერგეტიკული გამოცარიელების შეგრძნებამდე მიიყვანა იგი. მეგობრებმა ძალების აღსადგენად ვიკეპანანდა ბუნებაში გაიყვანეს მშვენიერ ადგილას, რომელსაც ერქვა ათასი კუნძულის პარკი, სადაც ბორცვზე ტყესთან წმინდა ლავრენტის მდინარეზე ძველებული მამული იყო განლაგებული. ახალგაზრდა მოღვაწის ძალებმა თანდათან აღდგენა დაიწყო. იქიდან მან მეგობრებს მისწერა: „აქ მე ხელახლა დავიბადე. ტყეში მარტო ვარ. ჩემს გიტას ვკითხულობ და სრულიად ბედნიერი ვარ“. მაგრამ განმარტოება არ გამოვიდა.

ვივეკანანდას ირგვლივ უცებ შეგროვდა მოსწავლეთა ჯგუფი (დაახლოებით ოცი ადამიანი). ეს ადამიანები ვედანტური სიბრძნის შეცნობის იდეით იყვნენ გატაცებული. სპონტანურად შობილმა სკოლამ დაახლოებით შვიდი კვირა იარსება.

წიგნში შესულია ვივეკანანდას ყოველდღიური გამოსვლებიდან გამორჩეული საუკეთესო საუბრები.

ვივეკანანდას წინა ნაშრომი „რაჯა-იოგა“ კონცენტრაციის და მედიტაციის პრობლემებზე იყო მიძღვნილი, „შთაგონებული საუბრები“ კი მოცულია უფრო თემატიკით – სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტების და ცდომილების ამოცნობის მეცნიერება. აბსოლუტი და მაია, იოგას ოთხი სახის მსგავსება და განსხვავება, უმაღლესი მე-ს პრობლემა, დუალიზმი და მონიზმი, ადამიანის ვალდებულებები ამ სამყაროში და დიადი განთავისუფლების სტრატეგია. ერთი შეხედვით ჩვენ წინ საგანთა ბუნებისადმი ორთოდოქსული ვედანტური მიდგომაა, მით უმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეს სინამდვილეს შეესაბამება და ტრადიციული მეკვიდრეობითობა შენარჩუნებულია, თუმცა ტექსტის ყურადღებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევაძნიოთ, რომ ის შექმნილია იმ ადამიანის მიერ, რომელმაც დასავლეთი ლრმად იცის, და რომ ვედანტა აქ რამდენადმე მოდერნიზებულია. რა თქმა უნდა, ეს მოდერნიზაციი მაღალი სიზუსტით და დელიკატურობით არის განხორციელებული და მიეკუთვნება მასალის ფორმას, და არა სწავლების სულისკვეთებას. ახალი შეხედულება ვლინდება გაფართოებულ თემატიკაშიც (სხვა რელიგიების ანალიზი, მიმართვა დასავლეთის ფილოსოფიისთვის, სოციალური პრობლემებისთვის), და თვით გადმოსაცემი იდეების ხასიათშიც (რომლებიც გამიზნულია არა მარტო შინაგან თვითჩაძირვაზე, არამედ ეროვნული გრძნობის გამოღვიძებაზეც), და, ბოლოს, თვითონ გადმოცემის განსაკუთრებულობებშიც. წიგნი არ მიეკუთვნება ფილოსოფიური ტრაქტატის უანრს ლოგიკური, დასკვნების მკაცრად მოცემული მიმდევრობითობით. ეს არის

სწორედ „შთაგონებული საუბრები“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ღვთისშთაგონებული“) გარეგნულად თხრობის არასისტემატიკური მანერით, სადაც ყოველი იდეა იბადება, იზრდება და იფურჩქნება ისევე თავისუფლად, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ყვავილი ან ხე. ვივეკანანდა ერთდროულად მშვიდად და გატაცებით ფიქრობს დიდზე, მარადიულზე, ღვთაებრივზე, ხან სივრცულ აზრს ავითარებს, ხან ბრწყინვალე იგავს იყენებს, ხან მოკლე აფორიზმით იფარგლება, ხან რომელიმე ვედანტური აფორიზმის კომენტარს აკეთებს. ჩვენ წინაშეა არა უპრალოდ უძველესი ჭეშმარიტებების ზუსტი თხრობა, არამედ ტექსტი, რომელიც გაცოცხლებულია პირადი თვალსაზრისის უდავო თანდასწრებით – ავტორის ხმისა, რომელიც თითქოს კადრის უკან იმყოფება.

(ს. კლუჩინიკოვი).

1895 წ. 19–23 ივნისი.

ოთხშაბათი, 19 ივნისი.

(ამ დღეს დაიწყო რეგულარული მეცადინეობები, რომლებსაც სვამი ვივეკანანდა თავისი მოსწავლეებისთვის ატარებდა ათასი კუნძულის პარკში. ჩვენ ჯერ არ ვიყავით ბოლომდე შეკრებილი, მაგრამ ოსტატის გული მუდამ მუშაობაში იყო, ასე რომ მაშინვე დაიწყო მასთან მყოფი სამი თუ თხი მოსწავლის სწავლება. პირველ დღეს ის ბიბლიით ხელში მოვიდა, გადაშალა იოანეს სახარება და თქვა, რომ რამდენადაც ჩვენ ყველა ქრისტიანი ვართ, ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, რომ ქრისტიანული სალვო წერილებით დაგვერწყო).

„დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“. ინდოელები ამას უწოდებენ **მაიას**, ღმერთის გამულავნებას, იმიტომ რომ ეს ღმერთის ძალას წარმოადგენს. აბსოლუტი სამყაროში აირეკლება. ჩვენ ამ ანარეკლს ვხედავთ და ბუნებას ვუწოდებთ. მაგრამ სიტყვას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ყველასთვის გასაგები აზრით იგი ნიშნავს ბუნებას, ხოლო დიადი ღვთაებრივი განსხეულებების მხრივ – კრიშნას, ბუდას, ქრისტეს და რამაკრიშნას, როგორც აბსოლუტის გამულავნებას. ქრისტე, აბსოლუტის სპეციალური გამულავნება, გაცნობიერებადი და შეცნობადია. ჩვენ მიერ აბსოლუტის გაცნობიერება შეუძლებელია: არ შეგვიძლია შევიმეცნოთ **მამა**, მხოლოდ **შვილის** შემცნება შეგვიძლია. აბსოლუტის მხოლოდ მზერა შეგვიძლია „ადამიანის ბუნების სანათის“ მეშვეობით – ქრისტეს მეშვეობით. იოანეს სახარების პირველ ხუთ სტროფში ქრისტიანობის მთელი არსია მოთავსებული: ყოველი სტროფი უღრმესი ფილოსოფიით არის შევსილი.

ის, რაც სრულყოფილია, არასდროს გახდება არასრულყოფილი. სიბნელის შუაგულში ის სიბნელით ვერ დალაქავდე-

ბა. ლვთის წყალობა უკლებლივ ყველა არსებისთვის ეშვება, თუმცა ამ არსებათა წახდენილობით არ ბუნდოვნდება. მზე არ ბნელდება ჩვენი მხედველობის რამე წაკლით, რის გამოც მზეზე ლაქებს ვხედავთ. ოცდამეცხრე სტროფში „...რომელიც მსოფლიოს ცოდვას თავის თავზე იღებს“, სრულყოფილების გზაა ჩვენთვის წაჩინები. ლმერთი ქრისტე გახდა, რომ ადა-მიანისთვის მისი წამდვილი ბუნება ეჩვენებინა, რომ ჩვენც ლმერთი ვართ. ჩვენ წარმოვადგენთ კაცობრიობას, რომელიც ლვთაებრივს ეფუარება; მაგრამ როგორც ლვთაებრივი ადამიანი, ქრისტე და ჩვენ ერთი ვართ.

ქრისტე სამების სახით ჩვენზე მაღლაა აყვანილი; ქრისტე არის როგორც გამაერთიანებელი – უპრალოდ მორალური ადა-მიანი; არც ერთ მათგანს არ შეუძლია დახმარება ჩვენთვის. ქრისტე წარმოადგენს ლმერთის განსხეულებას, რომელმაც არ დაივიწყა თავისი ლვთაებრიობა, აი ასეთ ქრისტეს შეუძლია დახმარება – მასში არ არის არასრულყოფილება. განსხეულე-ბები ყოველთვის აცნობიერებენ თავიანთ ლვთაებრიობას, ჯერ კიდევ აკვანში ყოფნისას გრძნობენ მას. ისინი იმ მსახიობებს ჰავანან, რომელთა როლიც დიდი ხნის წინ იქნა გათამაშებული, მაგრამ რომელიც, შესარულეს რა თავიანთი ვალდებულებე-ბი, ბრუნდებიან, რომ სხვა ადამიანებს სიხარული მოჰვარონ. სამყაროში ვერაფერი შეეხება ან წაბილწავს ყველა ამ სულით დიადს; ჩვენი შეზღუდვები, ჩვენი გარეგნობა მხოლოდ მოკლე დროით ენიჭებათ მათ, რომ ამის წყალობით იმის შესაძლებლო-ბა ჰქონდეთ, რომ გვასწავლონ და რჩევა-დარიგება მოგვცენ, მაგრამ სინამდვილეში არასდროს არიან რამეთი შეზღუდული და ყოველთვის სრული თავისუფლებით სარგებლობენ.

\* \* \*

სიკეთე ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჭეშმარიტება. როდესაც ვისწავლით იმას, რომ ბოროტე-ბამ წონასწავლობიდან ვერ გამოგვიყვანოს, ჩვენ კიდევ სიკეთის

გამოყენების სწავლება გვმართებს ისე, რომ მას ჩვენი გაბეჭ-ნიერება შეეძლოს.

ჩვენთვის სიძნელეს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი ჭეშმარიტი „მე“ სიკეთისა და ბოროტების ზღვარს მიღმა იმყოფება: ღრმად უნდა შევისწავლოთ ეს ორი ერთმანეთის გამანონასწორებელი საწყისი და იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ორივე ერთნაირად აუცილებელია.

ორობითობის იდეა უკვე ძველ პარსებს<sup>1</sup> ჰქონდათ გავრცელ-ებული. არსებითად, სიკეთე და ბოროტება ერთი და იგივე<sup>2</sup> და მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში იდგამს ფესვს. თუ ჩვენი ცნობიერება განონასწორებულია, მაშინ ვერც სიკეთე, ვერც ბოროტება მასზე გავლენას ვერ მოახდენს. იყავით სრულიად თავისუფალნი, და მაშინ ვერაფერი შეგბოჭავთ, და თავისუ-ფლებით და ნეტარებით დატებებით.

ბოროტება რკინის ჯაჭვია, სიკეთე – ოქროსი; მაგრამ ერთიც და მეორეც ბორკილია. ამრიგად, იყავით თავისუფალნი; იცო-დეთ, რომ თქვენ იმყოფებით გზის მიღმა, მიზნებს მიღმა. თავ-იდან ოქროს ჯაჭვს ჩასჭიდეთ ხელი, რომ რკინის ბორკილები აიხსნათ, ამის შემდეგ კი ორივე გადაყარეთ. ხიჭვი, ბოროტების ეკალი ჩვენშივეა, ჩვენს სხეულშია; ამრიგად, მოგლიჯეთ მეორე ეკალი იმავე ბუჩქზე და პირველი ამოაძრეთ, ამის შემდეგ კი ორივე გადააგდეთ და იყავით თავისუფალნი.

\* \* \*

სამყაროსთან ურთიერთობის დროს ყოველთვის მიმცემი იყავით. მიეცით, რის მიცემაც კი შეგიძლიათ, და ნუ იფიქრებთ იმაზე, უკან როგორ დაიბრუნოთ. გაეცით სიყვარული, დახმარება, ალერსი, მოემსახურეთ, შეძლებისდაგვარად გაიღეთ მსხვერ-პლი, მაგრამ ამასთან ნუ ივაჭრებთ! პირობებს ნუ წაუყენებთ, და მაშინ არავისთვის ტვირთი არ იქნებით. როდესაც გასცემთ, ყოველთვის გაეცით თქვენი საკუთარი გულუხვობის საგანძუ-რიდან ისე, როგორც ღმერთი თქვენ გაძლევთ.

## გამომხატვების "აქტი"-ს მიერ გამოცხადები წიგნი

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და პოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
12. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
13. ბერტრან რასელი – ესეები
14. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
15. ედმუნდ პუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
16. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
17. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
18. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
19. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან

20. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
21. სვამი ვივეკანანდა – მთაგონებული საუბრები
22. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
23. გუსტავ ლე ბონ – მასების ფსიქოლოგია
24. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
25. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
26. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
27. ოშო – რა არის მედიტაცია?